



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000047833505318

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 90; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 4

18 / იანვარი / 2018 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 23-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად საკრებულომ:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დასაქმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში: სპეციალური სატრანსპორტო საშუალების (გრეიდერი) მძღოლი-1, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების (კამაგუ) მძღოლი-1, ავტობუსის მძღოლი-1, მიკროავტობუსის მძღოლი -1, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მძღოლი-1, მძღოლები მერიაში 3, ინფორმაციული ტექნოლოგიების - (IT) სპეციალისტი-1, მერის მრჩეველი-1, მერის თანაშემწე-1, მერის მასალების კოორდინატორი (მდივანი) -1, ხოლო ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში: ერთი მძღოლია, ერთი მდივანი, ერთი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის, ერთი მრჩეველის მიღება 2019 წლის 1 იანვრ. მდე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით.
3. განკარგულების გასაზივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავმჯდომარე



07

თამარ ყვინიშვილი